DOI: https://doi.org/10.59172/2667-9876/2023-2/6-20

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს სათავეებთან

კონსტანტინე ხეცურიანი
სამართლის მაგისტრი

რეფერატი. საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვან ისტორიაში თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს დროის უაღრესად მოკლე მონაკვეთი უკავია. როგორც ერთიანი, ისე ცალკეულ სახელმწიფოებრივ ერთეულებად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო ყველაზე ხანგრძლივად მონარქიული სახელმწიფო იყო, რომელმაც რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ანექსიამდე (1801-1864 წწ.) იარსება. საგულისხმოა ისიც, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ანექსიის შემდეგ, სახელმწიფოებრიობაწართმეულ ქართველ ერს კიდევ 117 წელი მოუწია მონარქიული სახელმწიფოს – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართველი ერი თავის ისტორიაში პირველად შეუდგა დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას. წინამდებარე სტატიაში განხილულია 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, დამოუკიდებლობის აქტის იურიდიული ბუნება, მისი მნიშვნელობა რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის (1921) შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (1991 წლის 9 აპრილი) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, დამოუკიდებლობის აქტი, დამოუკიდებლობის გამოცხადება

თავი I. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წელს

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებული მფარველობითი სამოკავშირეო ხელშეკრულებით – გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ნაცვლად, რომელიც გულისხმობდა

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაცვას გარეშე მტრებისაგან, რუსეთი თავად შეუდგა ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობას, გაუქმებასა და ანექსიას. ეს პროცესი რუსეთის იმპერატორის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებითა და შეერთებით დაიწყო და 1864 წელს დასრულდა სულ ბოლოს დარჩენილი აფხაზეთის სამთავროს გაუქმებითა და რუსეთთან შეერთებით[1].

რუსეთს, ამასთანავე, მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნებაში და 1811 წელს საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია გააუქმა, ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარხოსოდ გარდაქმნა, კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი გააუქმა და წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე შემოიღო[2].

უსახელმწიფოდ დარჩენილი საქართველოს ტერიტორია რუსეთის ორ გუბერნიად გაყვეს და მთელი მონდომებით შეუდგნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. საქართველოს არც ერთ სხვა დამპყრობელს ასეთი რამ არ ჩაუდენია. საქართველო ბევრჯერ დაუპყრიათ, აუოხრებიათ, მისი პროვინციებიც მიუტაცებიათ, მოსახლეობაც წაუსხამთ, მაგრამ სახელმწიფოებრიობა არ გაუუქმებიათ. ეს მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთმა მოახერხა.

აქედან მოყოლებული 117 წლის მანძილზე ამაო გამოდგა ქართველთა ანტირუსული აჯანყებები და რუსეთის იმპერატორისათვის წარდგენილი „ბარათები“, რომელთა მიზანი იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენა[3]. მიუხედავად არაერთი მარცხისა და დიდი მსხვერპლისა, საქართველოში მაინც არ შეწყვეტილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა წართმეული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ამასთანავე, რუსული ანექსიის პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დაფუძნებისათვის გარკვეული ხელისშემწყობი გარემოებები მაინც შეიქმნა. სახელდობრ, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილი და დაქუცმაცებული ერთიანი საქართველოს მიწები, სადაც სახლობდნენ „ყოველნი ივერიელნი“ – „სისხლით ნათესავნი“, „ერთმორწმუნენი“ და „ერთისა ენისა მქონებელნი“[4], ერთი სახელმწიფოს – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ამან კიდევ უფრო დააახლოვა საქართველოს

1. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). მთ. რედ. აკად. *მ. ლორთქიფანიძე.* თბილისი, 2012 წელი, ტ. III, 517, ტ. IV. 52.
2. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. IV. 30-31.
3. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. IV. 29-30.
4. ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა (1790). კრებულში: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *პროფ. ი. დოლიძემ.* თბილისი, 1965 წელი. 501.

სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებნი, გააძლიერა მათი ერთობის განცდა და ერთიანი საქართველოს აღდგენისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთხოვნა უკვე იყო არა რუსეთის მიერ გაუქმებული და ანექსირებული ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების, არამედ „მთლიანი და განუყოფელი საქართველოს“ აღდგენა[5].

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რუსეთის იმპერიის კვალდაკვალ მნიშვნელოვანი გარდაქმნები განხორციელდა. კერძოდ, გაუქმდა ბატონყმობა, დამკვიდრდა წარმოების კაპიტალისტური წესი, განვითარდა მრეწველობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, შეიქმნა ეროვნული სკოლები, გამომცემლობები, ბიბლიოთეკები, პრესა, თეატრი, მოქმედებდნენ პოლიტიკური პარტიები, ტარდებოდა არჩევნები, დაარსდა ქართული უმაღლესი სასწავლებელი, გაჩნდა ევროპულად განსწავლული და პატრიოტულად განწყობილი ეროვნული ინტელიგენცია, რომლის წარმომადგენლები კარგად იცნობდნენ მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების მმართველობის სისტემებს. ყოველივე ეს ხელსაყრელ წინაპირობას ქმნიდა საქართველოს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჯერ „თერგდალეულებმა“, ხოლო შემდეგ პოლიტიკური პარტიების დიდმა ნაწილმა ჩამოაყალიბეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მიზანი – რუსეთის ფარგლებში ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვილი ქართული ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენა[6]. საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე დომინირებდა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთში ცარისტული რეჟიმის დამხობა, ამ ეროვნულ-პოლიტიკური იდეის რეალური განხორციელების იმედი გააჩინა. ეს იმედი კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ. 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახურებმა სვეტიცხოვლის ტაძარში შეკრებილ ხალხს აუწყეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დაედასტურებინა ეს გადაწყვეტილება[7].

ერთიანი ეროვნული პროგრამის შესამუშავებლად და სამოქმედოდ საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა 1917 წლის აპრილში ჩამოაყალიბეს „ინტერპარტიული საბჭო“[8]. იმავე წლის სექტემბერში ინტერპარტიულმა საბჭომ ქართველი

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. თბილისი, 1990 წელი. 7.
6. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. IV, 29-30.
7. *ალექსანდრე ბენდიანიშვილი.* საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, 2001 წელი, 56-61.
8. იქვე, 66-67.

ხალხის სახელით რუსეთის ხელისუფლებისაგან მოითხოვა საქართველოსთვის ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მინიჭება, რაც, მათი აზრით, 1801 წელს დარღვეულ ისტორიულ უფლებასა და სამართლიანობის პრინციპს ემყარებოდა[9]. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამ საკითხის გადაწყვეტა დამფუძნებელი კრების პრეროგატივად გამოაცხადა, რომლის მოწვევაც 1918 წლის იანვარში იყო გათვალისწინებული[10].

რუსეთის დროებითმა მთავრობამ ვერ შეძლო პირველი მსოფლიო ომითა და რევოლუციით ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის ნორმალიზება, რითაც ისარგებლეს ბოლშევიკებმა და 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს დაამხეს დროებითი მთავრობა. ლენინის მეთაურობით შექმნილმა სახალხო კომისართა საბჭომ უმოკლეს დროში შეძლო თავისი ძალაუფლების გავრცელება რუსეთის დიდ ნაწილზე.

რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალებასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას სამხრეთ კავკასიის ეროვნულმა პარტიებმა ამიერკავკასიაში ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოების შექმნით უპასუხეს. მათი მოთხოვნით 1917 წლის 15 ნოემბერს გადადგა „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ (ე.წ. „ოზაკომი“), რომელიც რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობისათვის იყო შექმნილი. მის ნაცვლად ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი – დროებითი მთავრობა (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი)[11].

ეროვნული საკითხების გადასაწყვეტად მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნას შეუდგნენ უშუალოდ საქართველოშიც. რადგანაც ინტერპარტიულ საბჭოს სათანადო ლეგიტიმაცია არ გააჩნდა, ამიტომ გადაწყდა ფართო წარმომადგენლობის საფუძველზე მოეწვიათ საქართველოს ეროვნული ყრილობა[12]. ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით 1917 წლის 19 ნოემბერს მოწვეულმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მრავალპარტიულობის საფუძველზე აირჩია ეროვნული საბჭო, ხოლო ეროვნულმა საბჭომ თავის მხრივ აირჩია მის წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი კომიტეტი. „შეიძლება ითქვას, რომ შეიქმნა საქართველოს პოტენციური პარლამენტი და მთავრობა, საფუძველი ჩაეყარა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას“[13].

1918 წლის 5 იანვარს მუშაობას შეუდგა რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელმაც პირველივე სხდომაზე უარი განაცხადა ეცნო ბოლშევიკური სახალხო კომისართა საბჭო და დაედასტურებინა მის მიერ მიღებული დეკრეტები. ლენინის

9. იქვე, 68.
10. იქვე, 68.
11. იქვე, 76.
12. *ბექა ქანთარია.* კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში. თბილისი, 2013 წელი, 48.
13. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. IV, 177.

ბრძანებით დამფუძნებელი კრება მაშინვე გარეკეს[14]. რუსეთში დამყარდა ბოლშევიკური დიქტატურა, დაიწყო სამოქალაქო ომი, ტერორი და ანარქია. ცხადი გახდა, რომ რუსეთის შემადგენლობაში და რუსეთთან ერთად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დემოკრატიული განვითარებისათვის არანაირი პერსპექტივა არ არსებობდა. დადგა დრო დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

პირველი ნაბიჯი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზაზე საქართველომ გადადგა სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, რომლებიც იმ დროს ამიერკავკასიის „ერთ დიდ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა“[15]. მათ აირჩიეს ამიერკავკასიის პარლამენტი (სეიმი) და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ამიერკავკასია ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა[16]. ამ ნაბიჯის გადადგმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საერთაშორისო ფაქტორმა, კერძოდ, ოსმალეთთან ტერიტორიულ პრობლემებზე საზავო მოლაპარაკების აუცილებლობამ, რომლის დაწყების წინაპირობად ოსმალეთი მიიჩნევდა ამიერკავკასიის სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადებას[17].

როგორაც ნაჩქარევად შეიქმნა, ისევე სწრაფადვე დაიშალა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. გარდა იმისა, რომ არ იყო გარკვეული ფედერაციის დამფუძნებელი სუბიექტების სტატუსი, უფლებამოსილებები და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფოსამართლებრივი საკითხები, სულ მალე თავი იჩინა დამფუძნებელ ერებს შორის ინტერესთა კონფლიქტმა. „სომხები ინგლისზე ამყარებდნენ იმედს, აზერბაიჯანის პოლიტიკურ პარტიებს კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ მათ ქვეყანაზე თურქეთის პროტექტორატის დამყარება“[18], საქართველოს გერმანიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა ოსმალეთის ექსპანსიონისტური მისწრაფებების მოსათოკად. ასეთ პირობებში ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირის შენარჩუნება შეუძლებელი იყო.

ბათუმში ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებაზე მყოფი ზურაბ ავალიშვილი თავის დღიურში წერს: „22 მაისი. რადგან ამიერკავკასიას მოელის დაშლა, გადამწყვეტი თათბირია დანიშნული საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ... დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებისა – დადგა დრო საქმის ჩამოყალიბებისა და მოქმედებისა.

ჩხენკელმა, ჟორდანიამ, ნიკოლაძემ და სურგულაძემ მოიწონეს. ჟორდანიამ

14. *ალექსანდრე ბენდიანიშვილი.* მით. ნაშრომი. 84.
15. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. IV. 176.
16. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. IV, 176-179.
17. იქვე. 179.
18. იქვე. 180.

ეს პროექტი წაიღო ტფილისში, გამოთხოვების დროს ჩვენ განსაკუთრებულის გრძნობით ვართმევდით ერთმანეთს ხელს“[19].

როგორც რაჟდენ არსენიძის მოგონებიდან ირკვევა, ამ პროექტზე მუშაობა თბილისში ეროვნულ საბჭოში გაგრძელდა, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტის პროექტის მოსამზადებლად 1918 წლის 25 მაისს სპეციალური კომისია შეუქმნია. რაჟდენ არსენიძის გადმოცემით, დამოუკიდებლობის აქტის პროექტზე მუშაობა 25 მაისს, ნაშუაღამევს დაუსრულებიათ და ეროვნული საბჭოს ბიუროსათვის გადასაცემად გიორგი გვაზავას და პავლე სარჯველაძეს წაუღიათ. ნაშუაღამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით პროექტის საბოლოო რედაქციას[20].

1918 წლის 26 მაისს დილის 11 საათზე ამიერკავკასიის სეიმმა დაამტკიცა თავისი უკანასკნელი დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სეიმის თვითლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღის 17 საათსა და 10 წუთზე საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით ნოე ჟორდანიამ მთავრობის სასახლეში შეკრებილი ეროვნული საბჭოს წევრებისა და მრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოების წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოაცხადა[21]. ნოე ჟორდანიას წინადადებით ეროვნული საბჭოს მდივანმა ილია ზურაბიშვილმა სასახლის აივნიდან წაუკითხა თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტი. ამავე დროს კრების დარბაზში თავმჯდომარის ამხანაგი გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ჟორდანიას წინადადებით, კითხულობს დამოუკიდებლობის აქტის რუსულ თარგმანს[22]. დამოუკიდებლობის აქტი ეროვნულმა საბჭომ ერთხმად მიიღო. ხალხი სიხარულითა და ოვაციებით შეხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რეკდა სიონის ზარები.

ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში საინტერესო პარალელი აქვთ გავლებული ამერიკული კონსტიტუციონალიზმის ისტორიასთან, ვინაიდან ასე დაიწყო ამერიკაშიც. კერძოდ, ჯერ 1776 წელს მიიღეს „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და შემდეგ 1787 წელს – ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. ამერიკაში 1776 წლის 4 ივლისს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების აღსანიშნავად პირველად დაირეკა თავისუფლების ზარი, ამერიკული თავისუფლების სიმტკიცის სიმბოლო. საქართველოში 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების აღსანიშნავად გუგუნებდა სიონის საკათედრო ტაძრის ზარები, ქართველთა სულიერი სიმტკიცის სიმბოლო – პარალელები მართლაც რომ მსგავსია[23].

19. *ზურაბ ავალიშვილი.* საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებები, ნარკვევები. თბილისი, 2011 წელი, 78-79.
20. *გურამ შარაძე, გიორგი შარაძე.* ისტორიული რელიკვიების დაბრუნება (1918-1921). თბილისი, 2001 წელი. 12, 15; *პაატა სურგულაძე.* ქართული პარლამენტის სათავეებთან. თბილისი, 1991 წელი, 23.
21. *ალექსანდრე ბენდიანიშვილი.* მით. ნაშრომი. 98-99.
22. *გურამ შარაძე, გიორგი შარაძე.* მით. ნაშრომი. 22-23.
23. *პაატა ცნობილაძე.* საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. ორ ტომად, ტომი I, თბილისი, 2004 წელი, 94.

თავი II. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი[24] საქართველოს პირველი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დოკუმენტია, რომელმაც არა მხოლოდ აღადგინა რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა, არამედ, ამასთანავე, სათავე დაუდო თანამედროვე რესპუბლიკური მმართველობის დამკვიდრებას საქართველოში.

დამოუკიდებლობის აქტის პირველი ნაწილი დეკლარაციული ხასიათისაა და მასში ლაკონიურადაა გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიული ეტაპები, რუსეთში იმჟამად შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და „თავის ძალღონის ამარად“ დარჩენილი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზები და მიზნები. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“[25].

დამოუკიდებლობის აქტის მეორე ნაწილი ძირითადად კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისაგან შედგება.

პირველი პუნქტი საქართველოს ხალხს სუვერენულ უფლებათა მატარებლად აცხადებს (სახალხო სუვერენიტეტი), რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან საქართველოს ხალხს უფლება აქვს, თვითონ განსაზღვროს თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ბედი, შექმნას დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ამ უფლების საფუძველზე ამავე პუნქტში გაცხადებულია, რომ ამიერიდან „საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ამით აღიარებულია საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი, რაც გულისხმობს საქართველოს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და რომელიმე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე[26]. საგულისხმოა, რომ დამოუკიდებლობის აქტის ამ პუნქტში სახალხო და სახელმწიფო სუვერენიტეტი ერთადაა წარმოდგენილი, რაც გასაგებია, რადგანაც თუ ერი (ხალხი) მოიპოვებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მაშინ ადგილი აქვს ეროვნული (სახალხო) და სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთმანეთთან შერწყმას[27].

24. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. თბილისი, 1990 წელი, 3-4.
25. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. თბილისი, 1990 წელი, 3-4.
26. სახალხო და სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ იხ. *ლევან ალექსიძე.* თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, 2013 წელი, 81-83.
27. *ლევან ალექსიძე.* მით. ნაშრომი. 83.

დამოუკიდებლობის აქტის მე-2 პუნქტი საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმას განსაზღვრავს. „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“ – იმპერატიულადაა გაცხადებული დამოუკიდებლობის აქტში. ტერმინთა თანაწყობა – „დემოკრატიული რესპუბლიკა“ ერთდროულად მიუთითებდა იმაზე, რომ მონარქიული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის მქონე ქართული სახელმწიფო, მისთვის აქამდე უცნობი, რესპუბლიკური მმართველობის ფორმით უნდა ჩამოყალიბებულიყო და ამასთანავე, ეს სახელმწიფო ტოტალიტარული, დიქტატორული რეჟიმის ანტიპოდი უნდა ყოფილიყო. დემოკრატია ხომ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, სადაც ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყაროა და ამავე დროს უზრუნველყოფილია მისი ფართო მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელებაში. რაჟდენ არსენიძე წერდა: „ჩვენ გვინდა რესპუბლიკა დემოკრატიული, ე.ი. ისეთი, სადაც ხალხი, დემოსი იქნება საზოგადოებრივ საქმის მმართველი და გამგე, კანონმდებელი და აღმასრულებელი. სიტყვა „რესპუბლიკა“ ამნაირათ აღნიშნავს ფორმას სახელმწიფოსას, სიტყვა „დემოკრატიული“ კი ეხება შინაარსს“[28].

დამოუკიდებლობის აქტის მე-3 პუნქტში გადმოცემულია საქართველოს ნება, გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო. „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“, აღნიშნულია დამოუკიდებლობის აქტში. მიუხედავად ქართული სახელმწიფოს ასეთი სამშვიდობო მისწრაფებისა, „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ სტატუსით სახელმწიფოს აღჭურვა მხოლოდ საკუთარი სურვილით არ ხდება. ამ საკითხს გააჩნია მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტი და მისი მინიჭება სახელმწიფოსათვის დამოკიდებულია საერთაშორისო თანამეგობრობის თანხმობაზე, რომელიც ფორმდება სათანადო საერთაშორისო ხელშეკრულებით[29]. ამიტომ მუდმივი ნეიტრალიტეტის ცალმხრივად გამოცხადება, თავისთავად, იურიდიულ შედეგებს არ იწვევს. სწორედ ამის გამოა დამოუკიდებლობის აქტის ეს პუნქტი იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეული დეკლარაციულ დებულებად[30].

დამოუკიდებლობის აქტის მე-4 პუნქტი საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის ძირითად პრინციპებს ეხება. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კეთილმეზობლურ ურთიერთობებს დაამყარებს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრთან, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. სახელმწიფოების მშვიდობი-

28. *რაჟდენ არსენიძე.* დემოკრატიული რესპუბლიკა. წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი, 2016 წელი, 40.
29. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების პერიოდისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებით შვეიცარიას გააჩნდა მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი (1815 წლიდან). *ლევან ალექსიძე.* თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, 2013 წელი, 408-409; თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი, 2003 წელი, 193-194.
30. *პაატა ცნობილაძე.* საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. ორ ტომად, ტ. I, თბილისი, 2004 წელი, 95-96.

ანი თანაარსებობის ეს განაცხადი საგულისხმოა არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იგი საქართველოს საგარეო პოლიტიკის სამშვიდობო ხასიათზე და სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის სურვილზე მიუთითებს, არამედ იმითაც, თუ როდის, რა ეპოქაში იყო ეს დეკლარირებული და სახელმწიფოს სამოქმედო ორიენტირად დადგენილი. ეს ის პერიოდია, როდესაც საერთაშორისო სამართალში პროგრესულ პრინციპებთან ერთად ბევრი რეაქციული საწყისი მოქმედებდა, კერძოდ, ომის უფლება, დაპყრობის უფლება, კოლონიალიზმის ლეგალიზაცია და სხვა[31]. საგულისხმოა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ეს დებულება, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, გაეროს წესდებით საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად (იუს კოგენს) იქნა აღიარებული.

დამოუკიდებლობის აქტის მე-5 პუნქტი საქართველოს მოქალაქეებისათვის ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობის მტკიცე გარანტიებს ქმნის. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

თანასწორობა, როგორც ცნობილია, სამართლის ფუძემდებლური პრინციპია და, უწინარეს ყოვლისა, თანაბარი უფლებებით სარგებლობის უფლებას გულისხმობს[32]. სამართლის ეს პრინციპი იმ ეპოქისათვის არადამახასიათებელი, შესაშური სისრულით არის წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ იმჟამად მსოფლიოს ქვეყნებში ჯერ კიდევ პრობლემური იყო, მაგალითად, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი, განსაკუთრებით საარჩევნო უფლებით სარგებლობისას. დამოუკიდებლობის აქტიდან კი უშუალოდ გამომდინარეობდა, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები გააჩნდათ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებიდან (იუს კოგენს) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცულობის პრინციპი ყველაზე „ახალგაზრდაა“ და იგი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა[33], ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ.

დამოუკიდებლობის აქტის მე-6 პუნქტი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა საკითხს ეხება და მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, განვითარების თავისუფალი ასპარეზი გაუხსნას მის ტერიტორიაზე მოსახლე ერებს, რაც პრაქტი-

31. *ლევან ალექსიძე.* მით. ნაშრომი. 74-75.
32. *ვასილ გონაშვილი, ქეთევან ერემაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კახიანი, გიორგი კვერენჩხილაძე, ნანა ჭიღლაძე.* საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. თბილისი, 2017 წელი, 34-35.
33. *ლევან ალექსიძე.* მით. ნაშრომი. 69.

კულად გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სათანადო პირობების შექმნას, რათა ეროვნულმა უმცირესობებმა შეძლონ თავისუფლად განავითარონ თავიანთი კულტურა, მისდიონ თავის რელიგიას, ტრადიციებს, ჩვეულებებს, გამოიყენონ თავისი ენა საჯარო და პირად ცხოვრებაში, მიიღონ განათლება ამ ენაზე, აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. როგორც ვხედავთ, დამოუკიდებლობის აქტი საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვის რეალურ გარანტიას ქმნის[34].

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ბოლო მე-7 პუნქტი ადგენს საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის პრინციპებს. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს გაუძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და მის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა. აქედან რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

პირველი. დამოუკიდებლობის აქტი ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემას, რომელიც დამახასიათებელია მმართველობის საპარლამენტო მოდელისათვის;

მეორე. სახელისუფლებო სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი;

მესამე. სახელმწიფო ხელისუფლების ეს ორგანოები დროებითია და იმოქმედებენ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე;

მეოთხე. არჩეული იქნება მაღალი ლეგიტიმაციის მქონე წარმომადგენლობითი ორგანო – დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელი კრების არჩევამდე წარმომადგენლობითი ორგანო – ეროვნული საბჭო შეივსება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მისი გამოცხადებიდან საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებამდე (1921 წლის 21 თებერვალი), ერთადერთი საკონსტიტუციოსამართლებრივი აქტი იყო, რომელიც ადგენდა საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობისა და სხვა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპებს.

დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე ხალხის მიერ უშუალოდ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 12 მარტს ხელ-

34. ნიშანდობლივია, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ სახელმწიფოს ეს ვალდებულებები საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში სრულყოფილად აისახა მხოლოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში (*რონა კ. მ. სმიტი.* ადამიანის საერთაშორისო უფლებები. მეორე გამოცემა. თბილისი, 2005 წელი, 446-463).

მეორედ დაამტკიცა დამოუკიდებლობის აქტი, რამაც ამ აქტს კიდევ მეტი ლეგიტიმურობა შესძინა[35].

დამოუკიდებლობის აქტი მტკიცე „იურიდიული ბაზა და ფუნდამენტი" გახდა საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემუშავებისათვის[36]. დემოკრატიული საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ასახვა ჰპოვა დამოუკიდებლობის აქტის თითქმის ყველა დებულებამ.

დამოუკიდებლობის აქტის დებულებები სახალხო და სახელმწიფო სუვერენიტეტის, დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმის შესახებ (პირველი და მე-2 პუნქტები) გადმოცემულია კონსტიტუციის პირველ მუხლში. დამოუკიდებლობის აქტით გათვალისწინებული საქართველოს ვალდებულება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს ადამიანის უფლებები (მე-5 პუნქტი), დეტალურად არის მოწესრიგებული კონსტიტუციის მე-3 („მოქალაქის უფლებანი") და მე-13 („სოციალ-ეკონომიკური უფლებანი") თავებში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები ერების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ დამოუკიდებლობის აქტით გათვალისწინებული საქართველოს პოზიტიური ვალდებულება (მე-6 პუნქტი) სრულყოფილად არის გადმოცემული კონსტიტუციის მე-14 თავში („ეროვნულ უმცირესობათა უფლებები"). დამოუკიდებლობის აქტით დადგენილი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის საპარლამენტო მოდელი (მე-7 პუნქტი) სრულად არის გაზიარებული კონსტიტუციის მე-4 და მე-5 თავებში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკას ამკვიდრებენ.

საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში არ იქნა გათვალისწინებული დამოუკიდებლობის აქტის დებულება საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ (მე-3 პუნქტი)[37].

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას დამოუკიდებლობის აქტს განიხილავდნენ როგორც მომავალი კონსტიტუციის

35. ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისაგან განსხვავებით, ეროვნული საბჭო, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, არ იყო საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანო და ამდენად, ნაკლები ლეგიტიმურობა გააჩნდა. დამფუძნებელი კრების მიერ დამოუკიდებლობის აქტის დამტკიცების შემდეგ, მის სტამბურ ვარიანტს 101-მა პიროვნებამ მოაწერა ხელი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი, 2018 წელი, 111).
36. *ბექა ქანთარია.* კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში. თბილისი, 2013 წელი, 65-66.
37. *ბექა ქანთარია.* მით. ნაშრომი. 66; *ალექსანდრე ბენდიანიშვილი.* საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, 2001 წელი. 174; *მალხაზ მაცაბერიძე.* საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. შემუშავება და მიღება. თბილისი, 2008 წელი, 125. საგულისხმოა, რომ კონსტიტუციის პროექტში (მე-2 მუხლი) სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პრინციპი წარმოდგენილი იყო უფრო ფართოდ, ვიდრე დამოუკიდებლობის აქტში, კერძოდ, პროექტი აღიარებდა საქართველოს ნეიტრალიტეტს ზოგადად და არა მხოლოდ ომიანობის დროს (*ბექა ქანთარია.* მით. ნაშრომი. 66).

შესავალ ნაწილს, ერთგვარ პრეამბულას. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი არსებობა ემყარება ამ დამოუკიდებლობის აქტს. ეს არის თუ გნებავთ ჩვენი კანონთა კანონი, ჩვენი კონსტიტუციათა კონსტიტუცია. ეს დიდებული აქტი... ერთიანად უნდა შევიდეს საქართველოს კონტიტუციაში, როგორც შესავალი კარი, რაც სახელმწიფოს დაფუძნების აქტს დაუკავშირებს საკონსტიტუციო კანონმდებლობას და მთლიან ხასიათს მისცემს მთელ კონსტიტუციას“[38]. მართალია, დამოუკიდებლობის აქტი არ იქნა შეტანილი კონსტიტუციის ტექსტში როგორც მისი შესავალი, პრეამბულა, მაგრამ მათ შორის ორგანული კავშირის გამო, საქართველოს პირველი კონსტიტუციის ტექსტი ყოველთვის ქვეყნდებოდა დამოუკიდებლობის აქტთან ერთად[39].

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს თანამედროვე, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობა, სამწუხაროდ, 1921 წლის 25 თებერვალს შეწყდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის, ოკუპაციისა და რიგით მეორე ანექსიის შედეგად.

საქართველო მთელი 70 წლით იქნა ინკორპორირებული რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

საბჭოური სისტემის კრიზისისა და ეროვნული მოძრაობის გააქტიურების შედეგად საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა 1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა სივრცეში პირველად ჩაეტარებინა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. ქართველმა ხალხმა ამ არჩევნებში მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი საყოველთაო-სახალხო კენჭისყრაზე – რეფერენდუმზე გაიტანა, რათა ხალხს თავად მიეღო გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელისუფლების არა მარტო ის განზრახულება, რომ რეფერენდუმით მიღებულ გადაწყვეტილებას უმაღლესი იურიდიული ძალა ექნებოდა და მისი გაუთვალისწინებლობა, ვისგანაც უნდა ყოფილიყო იგი, ხალხის ნების უგულებელყოფად აღიქმებოდა, არამედ ისიც, თუ როგორ იყო სარეფერენდუმო კითხვა დასმული. კერძოდ, რეფერენდუმზე ხალხს პასუხი უნდა გაეცა შემდეგ კითხვაზე: „თანახ-

38. *პავლე საყვარელიძე.* საქართველოს კონსტიტუციისთვის. წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი, 2016 წელი, 306.

39. *დიმიტრი გეგენავა, ბექა ქანთარია, ლანა ცანავა, თენგიზ თევზაძე, ზურაბ მაჭარაძე, პაატა ჯავახიშვილი, თინათინ ერქვანია, თამარ პაპაშვილი.* საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. მესამე გამოცემა. თბილისი, 2015 წელი, 32-33.

მა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“.

ამ კითხვიდან აშკარად ჩანს, რომ აქ საუბარია არა საქართელოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, რომელიც საქართველომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ მოიპოვა. გამომდინარე აქედან, თუ ქართველი ხალხი სარეფერენდუმო კითხვაზე დადებით პასუხს გასცემდა, მაშინ თანამედროვე საქართველო უშუალო სამართალმემკვიდრე გახდებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკისა, რომელიც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე შეიქმნა.

რეფერენდუმის შედეგები მართლაც შთამბეჭდავი იყო. საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე[40].

რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი[41], რომელშიც ჩაწერილია: „1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ყველაზე უფრო ლეგიტიმური კონსტიტუციურსამართლებრივი დოკუმენტია საქართველოს ისტორიაში. მისი იურიდიული ძალა დადასტურებულია: საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ (1918 წლის 26 მაისი), საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ (1919 წლის 12 მარტი), საყოველთაო სახალხო კენჭისყრით – რეფერენდუმით (1991 წლის 31 მარტი) და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ (1991 წლის 9 აპრილი).

40. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90,3 პროცენტმა. აქედან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 98,9 პროცენტმა (*ვასილ გონაშვილი, ქეთევან ერემაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კახიანი, გიორგი კვერენჩხილაძე, ნანა ჭიღლაძე.* საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. თბილისი, 2017 წელი, 69).
41. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., N: 4, მუხლი 291.

დასკვნა

თანამედროვე ქართული სახელმწიფო 1918 წლის 26 მაისიდან იღებს სათავეს, როდესაც ამ დღეს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, რამაც შესაძლებელი გახადა რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ანექსიის (1801-1864 წწ.) შედეგების დაძლევა.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი საფუძვლად დაედო გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (1991 წლის 9 აპრილი) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რომლითაც შესაძლებელი გახდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის (1921 წ.) შედეგების ლიკვიდაცია და საქართველოში 1918-1921 წლებში დაწყებული დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის გაგრძელება.

საქართველო მუდამ ერთგული იყო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობისა. დამოუკიდებლობის აქტით აღიარებული სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმა, აგრეთვე სახალხო სუვერენიტეტის, დემოკრატიის, ხელისუფლების დანაწილების, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები განმტკიცებულია დამოუკიდებელი საქართველოს როგორც პირველი (1921 წ.), ისე მეორე (1995 წ.) კონსტიტუციებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი არის ის უპირველესი და უმთავრესი კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი, რომელზედაც დგას თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). თბილისი, 2012, ტ. III, ტ. IV.

2. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი, 1965, ტ. II.

3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. თბილისი, 1990.

4. ალექსანდრე ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბილისი, 2001.

5. ბექა ქანთარია. კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში. თბილისი, 2013.

6. ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებები, ნარკვევები. თბილისი, 2011.

7. გურამ შარაძე, გიორგი შარაძე. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება (1918-1921). თბილისი, 2001.

8. პაატა სურგულაძე. ქართული პარლამენტის სათავეებთან. თბილისი, 1991.

9. პაატა ცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. ორ ტომად, ტომი I, თბილისი, 2004.

10. ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, 2013.

11. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი, 2016.

12. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი, 2003.

13. ვასილ გონაშვილი, ქეთევან ერემაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კახიანი, გიორგი კვერენჩხილაძე, ნანა ჭიღლაძე. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. თბილისი, 2017.

14. რონა კ.მ. სმიტი. ადამიანის საერთაშორისო უფლებები. თბილისი, 2005.

15. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი, 2018.

16. მალხაზ მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. შემუშავება და მიღება. თბილისი, 2008.

17. დიმიტრი გეგენავა, ბექა ქანთარია, ლანა ცანავა, თენგიზ თევზაძე, ზურაბ მაჭარაძე, პაატა ჯავახიშვილი, თინათინ ერქვანია, თამარ პაპაშვილი. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. თბილისი, 2015.

18. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, 1991, №4.